



№ 18/1917-15



**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
საქართველოს სახელით  
საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

04 დეკემბერი 2015 წელი  
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე  
გიორგი მიროტაძემ

ზეპირი მოსმენის გარეშე, განვიხილე ვ. პ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ნაწილის (დათვალიერების ოქმები ნივთების ამოცნობის ნაწილში) დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის 2015 წლის 24 ნოემბრის განჩინებაზე, თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორ ცოტნე ცერცვაძის საჩივარი და

**გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :**

2015 წლის 17 ნოემბერს, თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოში განსახილველად შევიდა ვ. პ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის N001300915003 საქმე, დანაშაულისათვის გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა ჩატარდა 2015 წლის 24 ნოემბერს. აღნიშნულ სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის მიერ განხილული იქნა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი, რა დროსაც სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა ნაწილობრივ, კერძოდ, დაამტკიცა ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა პროკურორის მიერ სასამართლო სხდომაზე ჩამოყალიბებული მოცემულობით და ისინი დაშვებულ იქნა საქმის არსებით განხილვაზე, როგორც მტკიცებულებები, გარდა ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნუსხის პუნქტ 3.7-ში მითითებული, დაზარალებულ თ. გ.-ს მონაწილეობით ჩატარებული 2015 წლის 12 ნოემბრის ნივთის დათვალიერების #0007405748, #0007405794, #007405833 და #007405955 ოქმებისა დაზარალებულის მიერ ნივთების ამოცნობის ნაწილში (ს.გ. 133-140).

სასამართლომ განმარტა, რომ ხსენებული დათვალიერების ოქმები, რეალურად არის ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმები და როგორც აღნიშნული ოქმებიდან ირკვევა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა დაზარალებულის მონაწილეობით, რა დროსაც ნივთების დათვალიერების შემდეგ დაზარალებულმა თ. გ.-მ ამოიცნო შესაბამისი ნივთები. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლზე და განმარტა, რომ ამოცნობა ტარდება ამომცნობის თანხმობით და ამასთან, ამომცნობს უნდა წარედგინოს ამოსაცნობი ობიექტი არანაკლებ



ორ სხვა ერთგვაროვან საგანთან ერთად. სასამართლომ არ გაიზიარა პროკურორის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ შეუძლებელი იყო ანალოგიური საგნების წარდგენა ვინაიდან ისეთი ნივთები, როგორცაა - პნევმატური თოფი (ე.წ. „ტირის თოფი“), კუთხსახეხი (ე.წ. „ბარგალა“), „პერფერატორი“ და ბეწვა-ხერხი (ე.წ. „ლომზიკი“) არ წარმოადგენენ ისეთ საგნებს, რომელთა ანალოგიური და მსგავსი საგნების მოძიება შეუძლებელია. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არსებითად არის დარღვეული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის მოთხოვნები, რამეთუ მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულმა თავიდანვე იცოდა თუ რა ნივთების დათვალიერება ხდებოდა, ამასთან დათვალიერების დროს იხილა კონკრეტული ნივთები, იცოდა მათი კუთვნილება და ამის შემდეგ ამოიღო ისინი. იმ შემთხვევაში თუ ტარდებოდა დათვალიერება უნდა ჩატარებულიყო მხოლოდ დათვალიერება, ხოლო მაშინ როდესაც დაზარალებული დაკითხული იყო და მითითებული ჰქონდა, რომ მას შეეძლო ნივთების ამოცნობა და ამის შემდეგ თუ ბრალდების მხარე ამოცნობას ატარებდა, იგი უნდა ჩატარებინა კანონით დადგენილი წესით. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ მტკიცებულებები - დათვალიერების ოქმები ობიექტის ამოცნობის ნაწილში არის დაუშვებელი.

2015 წლის 29 ნოემბერს, ზემოაღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორმა ცოტნე ცერცვაძემ, რომელიც ითხოვს დაზარალებულ თ. გ.-ს მონაწილეობით ჩატარებული ნაწილობრივ დაუშვებლად ცნობილი ზემოაღნიშნული დათვალიერების ოქმების დასაშვებ მტკიცებულებებად ცნობას. საჩივარი და საქმის მასალები თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში მიღებული იქნა 2015 წლის 02 დეკემბერს.

საჩივარში მითითებულია, რომ ხსენებული ოქმები წარმოადგენს ნივთის დათვალიერების ოქმებს და არა ამოცნობის ოქმებს. დაზარალებულმა ნივთების დათვალიერებამდე დეტალურად აღწერა თუ რა ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები ახასიათებდა მის კუთვნილ ნივთებს. აღნიშნულის შემდეგ მისი მონაწილეობით მოხდა ნივთების გახსნა და დათვალიერება, რის შემდეგაც მან მიუთითა, რომ იცნო საკუთარი ნივთები სწორედ იმ ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნებით, რაც მან ჩვენებაში დათვალიერებამდე მიუთითა. ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ მას არ ჩაუტარებია ამოცნობა და შესაბამისად არ არსებობს მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის საფუძველი. გარდა ამისა ბრალდების მხარე აღნიშნავს, რომ ბრალდებულს დათვალიერების ოქმები სადაოდ არ გაუხდია.

წარმოდგენილი საჩივრისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საჩივარში მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული პროკურორის არგუმენტები და მოსაზრებები, ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომის ოქმიდან გამომდინარე საგამომიებო კოლეგიისთვის ცნობილია ბრალდებულის (დაცვის მხარის) პოზიცია ზოგადად პროკურორის საჩივარში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისად, საგამომიებო კოლეგიის შეფასებით რაიმე საკითხი დამატებით, ზეპირი მოსმენით დაზუსტებას არ საჭიროებს და წარმოდგენილი მასალები სრულიად საკმარისია საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლის დისკრეციის (უფლებამოსილების) ფარგლებში, საგამომიებო კოლეგიამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბრალდების მხარის საჩივარი, შეისწავლა და გააანალიზა წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ ერთჯერადად, 5 დღის ვადაში საჩივრდება გადაწყვეტილების გამომტანი



სასამართლოს მეშვეობით, რომელიც საჩივარს, საქმის მასალებსა და წინასასამართლო სხდომის ოქმს დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს.

საკითხის განხილვისას, საგამოძიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, არცერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. ხოლო, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს თუ როდის შეიძლება მტკიცებულება ჩაითვალოს დაუშვებლად. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნივთიერი მტკიცებულება უნდა დათვალიერდეს და დაილუქოს. დათვალიერებისას უნდა გამოვლინდეს და აღიწეროს ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები. ხოლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის ადგენს დათვალიერების ზოგად წესს, რომლის პირველი ნაწილის თანახმადაც, დათვალიერების დროს აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, თუ შესაძლებელია, ამოღებამდე უნდა წარედგინოს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს, შემდეგ ამოღებულ იქნეს, დაწვრილებით აღიწეროს, დაილუქოს და შესაძლებლობის შემთხვევაში შეიფუთოს.

რაც შეეხება ამოცნობას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამოსაცნობად წარდგენამდე ამომცნობი ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით უნდა იყოს დაკითხული ამოსაცნობი ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშან-თვისებების თაობაზე და იმ გარემოების შესახებ, რომელშიც მას შეეხება ჰქონდა ამოსაცნობ ობიექტთან. ამომცნობისას ამომცნობმა უნდა განმარტოს, რა ნიშან-თვისებებით ამოიცნო ამოსაცნობი ობიექტი. ამასთან, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამომცნობს ამოსაცნობი ობიექტი უნდა წარედგინოს არანაკლებ 2 სხვა ერთგვაროვან საგანთან ერთად. ამომცნობს სთავაზობენ, მიუთითოს ობიექტი, რომლის ამომცნობაც შეუძლია, და განმარტოს, რა ნიშან-თვისებებით ამოიცნო იგი. ხოლო, მითითებული მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ამომცნობა არ ტარდება, ხოლო ჩატარებული ამომცნობა დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამომცნობი მიუთითებს ისეთ ნიშან-თვისებებზე, რომლებიც საკმარისი არ არის ამოსაცნობი ობიექტის იდენტიფიკაციისათვის, ან თუ ამომცნობს მიაწინებს ამოსაცნობ ობიექტზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მასალების შესწავლის შედეგად, საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ მართალია ბრალდების მხარე საჩივარში მიუთითებს გამოძიების მიერ ჩატარებული „ნივთის დათვალიერების ოქმზე“ (ოთხივე შემთხვევაში) და იმაზე, რომ ამომცნობა არ ჩატარებულა, თუმცა კონკრეტული ოქმები შინაარსობრივად სულ სხვა გარემოებებს ასახავს. კერძოდ, გარდა იმისა, რომ ოქმებზე მითითებულია ზოგადად „დათვალიერების ოქმი“ და არა „ნივთის დათვალიერების ოქმი“ რასაც უთითებს პროკურორი, მათში აღწერილია იმ ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები, რაც კონკრეტული ნივთების დათვალიერებისას გამოვლინდა, რომელიც ნამდვილად გამომდინარეობს ზოგადად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 126-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, რაც უშუალოდ ნივთიერი მტკიცებულების დათვალიერებას ეხება, თუმცა მითითებულ ოქმებში ასევე ასახულია ისეთი გარემოებები, რომელიც დამახასიათებელია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების - ამომცნობის



ჩატარებისათვის. კერძოდ, ზემოხსენებულ ოქმებში აგრეთვე მითითებულია ის, რომ „დათვალიერების შემდეგ დაზარალებულმა თ. გ.-მ ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშან-თვისებებით ... ამოიცნო თავისი კუთვნილი ...“ ნივთი. ამავე დროს, განმარტებულია სწორედ ის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშან-თვისებები, რაც კონკრეტულ ნივთებს ახასიათებდათ და მითითებულია შესაბამისი დასკვნაც იმის შესახებ, რომ დათვალიერების შემდეგ თ. გ.-მ ამოიცნო თავისი კუთვნილი კონკრეტული ნივთი. აღნიშნული გარემოებები და მათზე მითითება კი სცილდება დათვალიერების ზოგადი წესის მოთხოვნებს და გამომდინარეობს სწორედ ამოცნობის შესახებ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის დადგენილი ზემოთ აღნიშნული ნორმიდან.

აღნიშნულის გათვალისწინებით საგამოძიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას, რომ მოცემულ შემთხვევაში ხსენებული დათვალიერების ოქმები, რეალურად არის ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმები, რა დროსაც კონკრეტული ნივთის დათვალიერების შემდეგ (რაც პირდაპირაა ოქმში მითითებული) მიუთითა დაზარალებულმა თ. გ.-მ, რომ ამოიცნო საკუთარი ნივთი. შესაბამისად, საგამოძიებო კოლეგია სრულად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიციას და განმარტავს, რომ მას შემდეგ რაც დაზარალებულმა დაკითხვისას მიუთითა კონკრეტული ნივთების ინდივიდუალურ და გვარეობით ნიშნებზე და იმის თაობაზე, რომ შეეძლო თავისი კუთვნილი ნივთების ამოცნობა, პირდაპირ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების - ობიექტის ამოცნობის ჩატარების საფუძველს და ვინაიდან დაზარალებული კონკრეტულად უთითებდა, რომ შეეძლო ნივთების ამოცნობა, ამის თაობაზე თუ გამომძიებელი ამოცნობას ატარებდა, მას შესაბამისი საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარებინა კანონით დადგენილი წესით, რაც არ განხორციელებულა. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ გამომძიებელი ატარებდა მხოლოდ დათვალიერებას, აღნიშნული უნდა ჩატარებულიყო დათვალიერებისათვის დადგენილი წესების დაცვით და დათვალიერების შემდეგ არ უნდა მომხდარიყო შესაბამის ოქმში პირის მიერ ნივთის ამოცნობაზე მითითება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგამოძიებო კოლეგია ეთანხმება აღნიშნულ საკითხზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნუსხის პუნქტ 3.7-ში მითითებული, დაზარალებულ თ. გ.-ს მონაწილეობით ჩატარებული 2015 წლის 12 ნოემბრის ნივთის დათვალიერების #0007405748, #0007405794, #007405833 და #007405955 ოქმები - დაზარალებულის მიერ ნივთების ამოცნობაზე მითითების ნაწილში (ს.გ. 133-140), სასამართლოს მიერ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით იქნა ცნობილი დაუშვებელ მტკიცებულებებად.

ამდენად, საგამოძიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული საჩივარში აღნიშნული გარემოებები იმ სტანდარტით, რომ იგი საკმარისი იყოს ხსენებული მტკიცებულებების მითითებულ ნაწილში დასაშვებად ცნობისათვის. შესაბამისად, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე კონკრეტულ შემთხვევაში მიღებულია არსებითად სწორი, კანონიერი, დასაბუთებული და მართლზომიერი გადაწყვეტილება.

აქვე, საჩივარში პროკურორის მითითებაზე, რომ ხსენებული დათვალიერების ოქმები ბრალდებულს სადაოდ არ გაუხდია, საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის საფუძველზე, მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე მხარეთა შუამდგომლობების განხილვისას, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე მიუხედავად იმისა მეორე მხარე ხდის თუ არა სადაოდ რომელიმე მტკიცებულებას, არ არის შეზღუდული და პირიქით სამართლიანი სასამართლოს პრინციპიდან გამომდინარე ვალდებულია, სრულყოფილად შეამოწმოს მხარეთა მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულება და ისე მიიღოს გადაწყვეტილება მათი დასაშვებად თუ დაუშვებლად ცნობის შესახებ.





ვიხელმძღვანელო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე, 77-ე, 126-ე, 131-ე, 207-ე, 219-ე მუხლებით და

**და ვ ა დ გ ი ნ ე :**

1. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორ ცოტნე ცერცვაძის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის 2015 წლის 24 ნოემბრის განჩინება, ვ. კ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალდების მხარის მტკიცებულებების - დაზარალებულ თ. გ.-ს მონაწილეობით ჩატარებული 2015 წლის 12 ნოემბრის დათვალიერების #0007405748, #0007405794, #007405833 და #007405955 ოქმების - დაზარალებულის მიერ ნივთების ამოცნობის ნაწილში დაუშვებლად ცნობის თაობაზე დარჩეს უცვლელი;
3. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის უფლებამოსილ პირებსა და ორგანოებს;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მოსამართლე**  
**გიორგი მიროტაძე**